ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
მისამართი დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
**სამგლოვიარო** განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**
გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

ყოველდღიური გაზეთი. — კვირა, ოქტომბერს 10. 1920 წ. № 118 — ფასი 10 მანეთი


## ეროვნულ-დემოკრატიული
## ** პარტიის მთავარი კომიტეტი **

მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.
მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—12 და ნახ., საღამოს 7—9 საათამდე.

## განცხადება.

1-ლ ოქტომბრიდან დაიწყო მოქმედება თბილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმათ.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ **თემებს** და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

**მომარაგების სამინისტროს,**

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან", რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

**მატყლის ყიდვა-გაყიდვა**
**კერძო პირთაგან აკრძალულია.**

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

**საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4,000 მ.**
**თუშეთა—ახალქალაქის და სხვა რაიონების 4,500 მ.**

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებულნი არიან ადგილობრივ გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

**შენიშვნა:** სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

**მომარაგების სამინისტრო.**

63. 5—1.

## მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას „მწყემსს", რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის" საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობიდან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდი ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით;

1. მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა, ე. ი. 10 პროც.
2. მეცხვარეს ამხანაგობა „მწყემსის" საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.
3. სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ—გარეთის ბაზარზე.—

**მომარაგების სამინისტრო.**

---

ორშაბათიდან *11 ოქტომ.* კინო თეატრ **აპოლოში აჩვენებენ საქართველოს დემოკრატიის უდიდეს დღესასწაულს!**

დიდებული კინემოგრაფიული ლენტი „ცეკავშირის" ატელიისა ოთხ ნაწილად წარმოუდგენს ყოველ წვრილმანით შეფერადებულს

## ევროპის სოციალისტურ დელეგაციის ჩამოსვლას თბილისში და მათს მოგზაურობას საქართველოში

**15—29 ენკენისთვემდე.**

ეს ერთად ერთი დიდებული სურათია თავისი ისტორიული მნიშვნელობით და პირველი კიდევ იმ მხრივ, რომ იგი გვიჩვენებს მთელი საქართველოს უმშვენიერეს კუთხეებს აფარებელ ხალხს და ტომებს თავ-თავიანთი მრავალფეროვანი ზნეჩვეულობით.

## მთელი თანამედროვე საქართველო ეკრანზე არის.

**წარწერები ქართულ და რუსულ ენებზე.**

1—3169—1

---

## სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პროსპექტი, № 21; ტელ. 8—07)

### — დრამატიული საზოგადოების გამგეობა —

### სეზონი 1920-1921 წლისა

**დასის შემადგენლობა**

(ანბანის რიგით)

**მსახიობნი:**

ვასილ აბაშიძე
ტასო აბაშიძე
ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი
ცაცა ამირეჯიბი
ვარიკო ანჯაფარიძე
ვასილ არაბიძე
სუზანა ბეჟანიშვილი
ბარბალე გამრეკელი
ნინო გამრეკელი-თორელი
მიხეილ გელოვანი
შაქრო გომელაური
გიორგი დავითაშვილი
ნინო დავითაშვილი
ელენე დონაური
აკაკი ვასაძე
იუზა ზარდალიშვილი
ალექსანდრე იმედაშვილი
პლატონ კორიშელი
არეთა ლოლუა
მახეილ ლორთქიფანიძე
ეფემია მესხი
დიმიტრი მჟავია
ანდრო მურუსიძე
ბაბო როსტომაშვილი
მიხეილ სარაული
გიორგი სარჩიმელიძე
პავლე ფრანგიშვილი
გოგია ფრონისპირელი
ალისა ქიქოძე
ანეტა ქიქოძე
ოლიმპიადა ღოღობერიძე
ალექსანდრე ყალაბეგიშვილი
ანნა შოთაძე
ნიკო ციციშვილი
ელენე ციმაკურიძე
ვეჩე ჯიქია
ელისაბედ ჩერქეზიშვილი
ანნა ჩხეიძე
ნინო ჩხეიძე
შალვა ხონელი
სალომე ჭავჭავაძე
მიხეილ ჭიაურელი

**რეჟისორები.**

ვლადიმერ ალექსი მესხიშვილი
ალექსანდრე ახმეტელი
აკაკი ფალავა
მიხეილ ქორელი
ალექსანდრე წუწუნავა

**მორიგი რეჟისორი.**

შაქრო ბერიშვილი

**თანაშემწენი:**

ნინო გამრეკელი-თორელი
ალექსანდრე გველესიანი

**სცენარიუსები:**

გიგო იორდანიშვილი
კუკური პატარიძე

**მოკარნახენი:**

სერგო ამაღლობელი
შევლარ ახოსპირელი
ანტონ სვანაძე

**მხატვარნი:**

ალექსანდრე ზალცმანი
ვალერიან სიდამ.-ერისთავი

**დეკორატორი:**

დიმიტრი ნალებაშვილი

**თანამშრომელნი:**

ალექსანდრე ალავიძე
ისააკ ანთაძე
გიორგი ბახტაძე
პანტელეიმონ ბერაძე
არჩილ გიორგაძე
ზაქარია გრემი
ქეთევან ინასარიძე
ამბროსი იობიძე
ალექსანდრე კუპრაძე
იოსებ მათიაშვილი
გრიგოლ მაისურაძე
ვიქტორ მამალაძე
დომენტი მელაძე
ლევან მესხიძე
ვალერიან მინდელი
ვლადიმერ მჭედლიშვილი
ილია პაატაშვილი
ნიკოლოზ რიჟამაძე

### უახლოესი რეპერტუარი:

**ორიგინალი**

„გუშინდელნი"—შალვა დადიანისა, „დარისპანის გასაჭირი" და „ირინეს ბედნიერება",—დ. კლდიაშვილისა, „ბერდო ზმანია" და „უგვირგვინო მეფენი"—ალ. შანშიაშვილისა, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"—ავქსენტი ცაგარლისა, „მსხვერპლი"—ი. გედევანიშვილისა.

**ნათარგმნი**

„ოიდიპოს მეფე"—სოფოკლესი, „ოტელო" და „ჭირვეული ცოლის მორჯულება"—შექსპირისა, „მარიამ მაგდალინელი"—ჰაიზესი, „სასტუმროს დიასახლისი"—გოლდონისა, „ექიმი შტოკმანი"—იბსენისა, „ზღვასთან"—ენგელისა, „სიცრუე" ვინნიჩენკოსი.

2—67—4

---


## Сегодня выходитъ № 2 газеты
## ТИФЛИСЪ

подъ редакціей быв. редактора газ. „Бакинецъ" Г. С. Джиноридзе.

Въ номерѣ: послѣдняя телеграммы и радіосообщеніе, послѣдніе вѣсти изъ Азербейджана, Арменіи, Крыма и др.

СТАТЬИ: Лев. Кипіани, Гр. Робакидзе, М. Ястребова, Петра Герскаго, Д. Мережковскаго, А. Чернаго, Гри—Гри и др.

Къ свѣденію газета „Тифлисъ" ничего общаго съ газетой „Понедельникой" не имѣетъ.


სახელმწიფო თეატრი

## ოპერა

10 ოქტომბერს

### რიგოლეტტო

მონაწ. ბოიარსკაია, იანსა, ოვსიანიკოვა, ზალიპსკაია, ნეიმანი, სარაჯიშვილი, დრომდნო—პოლიაევი, ასეცკი, დემიანენკო, ქურხული, ეჩროვი, ორლიუკი

11 ოქტომბერს

### ფაუსტი.

წარმოდგენის დროს შესვლა საყურებელ დარბაზში აკრძალულია.
ოპერის დირექტორი: **ხ. ი. ევლახიშვილი**

---


**კაფე რესტორანი 26 მაისი**

**ამით აუწყებს!**

კვირას 10 ოქტომბერს ხსნის

## ზამთრის სეზონს

სადილ-ვახშმის დროს დაუკრავს

**კაფე რესტორანი 26 მაისი**

სიმებიანი ორკეს. მაესტრო ვ. ვანდრაჩევის ხელმძღვანელობით.

კაფეში მზადდება როგორც ევროპიული, აგრეთვე აზიური საჭმელები წმინდა ერბოთი და ახალ სანოვაგით გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

**კაფეში მუდამ იშოვება სასმელები, როგორც საზღვარ გარეთული, ისე ადგილობრივი საუკეთესო ფირმებისა**

საუზმე ცხელი ნამცხვარებით, დილ. 11—2 საათამდე
სადილი 2—5 ს. ვახშამი 8—12 საათამდე

მიიღება შეკვეთა ყოველგვარ საზეიმო და საამხანაგო სადილ-ვახშმებისა.

**ფასები ყველასთვის ხელმისაწდომია.**

პატივისცემით: ყოფილ ოფიცერთა დამხმარე საზოგადოების გამგეობა.

2166 1—1


---

## ავსტრიის რესპუბლიკა

თბილისში მყოფი, ავსტრიის სამხედრო ტყვეთა დამხმარე დეპარტამენტის დელეგატი უბრძანებს აქ მყოფ ავსტრიის ქვეშევრდომ სამხედრო ტყვეებსა და მოქალაქეთ, რომელთაც სურთ სამშობლოში დაბრუნება, გამოცხადნენ ან თბილისში სერგეევის ქ. № 16, ან და ბათომში მის მოადგილე ე. ი. ტრანცთან. პირადად ან და საჩქაროდ აცნობოთ წერილობით თავიანთი მისამართი. ცხადდება ავსტრიის დანარჩენ ქვეშევრდომთა საყურადღებოდ, რომ ამის შემდეგომ მათი ინტერესების დაცვა პასპორტებისა და საჭირო საბუთების გაცემა დავალებული აქვს თბილისში მყოფ გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენელს. თბილისი 29 ენკენისთვე 1920 წ.

2—3152—2

## ქართული კლუბი

დღეს, 10 ოქტომბერს კლუბი გადადის

**საზამთრო შენობაში.**

1—70—1

კვირას 10 ოკტომბერს 12 საათზე 2 სახელმწიფო თეატრში (ყოფილ არტისტს. საზოგად). გაიხსნება

**სახელმწიფო ბალეტის სკოლა**

სკოლის დირექტორი მ. ი. პერინი

1—69—1

კინემო მონიონი

10, 11, 12 და 13 ოქტომბერს

თავის სიუჟეტით ერთად ერთს სურათს რუსულ შემოქმედებისა'':

**როს თვით შენ გიყვარს, მხევლად გიმზერთ შენ, ხოლო დიდოფლობ როს შენ უყვარხართ**

დრამა ხუთ მოქმედებათ, რომელიც მკაფიოდ აჩვენებს

**თანამედროვე ოჯახის დარღვევას**

დადგმა ეკუთვნის სახელმწიფო თეატრის მხატვარს ვ. ა. სიმოვს.

უმთავრეს როლებში გამოდიან:

| | |
|---|---|
| სტრონსკი სასამართლოს გამ. | ს. ი. სვობოდა. |
| ვერა ლვოვის ას. მისი მეუღლე | ოლღა ორგი. |
| ისტრებოვსკი მხატვარი | ბ. შუპინსკი. |
| ქსენია პოგორეცკაია | ჩავინისა. |

სეანსის დასაწყისი 1 აქ. 5ნახ. საათ. 2. 7ნახ. ს. და 3.—9 ს,, ხოლო მე 5 10 ნახ. საათ.

ფასი ჩვეულებრივია.

დღეს კვირას, ნაშუადღევის 1 ს. ლიტერატორ-მხატვართა მსჯავრის გამოტანაა.


## აღმოსავლეთის ცეცხლისკენ.

მოსკოვის მთავრობამ დროებითი ზავი შეჰკრა პოლონეთთან. ქ. რიგაში, წითელმა ჯარის მეთაურებმა მუხლი მოლუნეს პოლონეთის ეროვნული ჯარების წინაშე და ისეთს კომპრომისებზედ წავიდნენ, რომელნიც ამ ორი თვის წინეთ, სრულებით წარმოუდგენელი იყო. ამავე დროს საბჭოთა რუსეთი ზავით შეჰკრა ფინლიანდიის მთავრობასაც და, როგორც, თვით მოსკოვის პრესსა აღიარებს, ფინლიანდიას დაუთმეს ყველაფერი, რისი მოთხოვნაც კი შესძლო მან.

ჩვენ ვიცნობთ ბოლშევიკების საზაო ხელშეკრულებას ბალტიის სახელმწიფოებთანაც და უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთ დასავლეთით მოსაზღვრე ქვეყნებთან, ბოლშევიკები ყოველივე დათმობაზე წავიდნენ და მისცეს მათ, მაქსიმუმი იმისა, რისი მიცემაც შეეძლოთ.

ყველგან, სადაც ბოლშევიკებს წითელ ლაშქარის დაპყრობით წადილს, ეროვნული შეგნებით დარაზმული ჯარების მახვილი გადაეღობა, ბოლშევიკები დამარცხებულნი გამოვიდნენ და სამარცხვინო ზავით დაიჩოქეს!

მხოლოდ ერთმა ხელშეკრულებამ მიანიჭა მათ საზეიმო გამარჯვება—ეს იყო ზავი საქართველოსთან!

და ეს მოხდა მისთვის, რომ ბოლშევიკების უკვე დახელოვნებულ დიპლომატიას, დაუპირისპირდა უვიცი ქართველის ინტერნაციონალური აზროვნება და რასაკვირველია, რადიკალური სოციალიზმის უკეთესმა ადეპტებმა დაამარცხეს უფრო ცუდი სოციალისტი.

და ჩვენ გვახსოვს, რომ როდესაც თბილისში ცნობილი იქნა ბ. ურატაძის საზაო ხელშეკრულების მუხლები, გაწითლებული მენშევიკები ამბობდნენ: ,,ჩვენთვის ხელსაყრელია, ასეთი ზავიც, რადგან ჩრდილოეთ საზღვარზედ მშვიდობიანობა ჩამოვარდებაო''.

და მართლაც, ამ უკანასკნელ დრომდე, დარიალის და სოჭის მიმართულებით, თითქოს, მისწყდა ზარბაზნების გრიალი, თუმც მათ ნაცვლად ბოლშევიკების აზერბაიჯანის განყოფილება ალაპარაკდა.

დღემდე, მოსკოვის მთავრობას საქართველოსთვის არ ეცალა—მთელი მისი ყურადღება მიქცეული იყო დასავლეთის ფრონტისაკენ და პოლონეთის საშვალებით აპირობდა იგი ბოლშევიკური ცეცხლის დანთებას დასავლეთ ევროპაში. პოლონეთის ფრონტი, უკანასკნელი გამოცდა იყო ბოლშევიკების განზრახვებისათვის ევროპის ბურჟუაზიული წყობილების დასანგრევათ.

მოსკოვის გეგმები აქ სრულებით დაინგრენ: მოსკოვის მთავრობა სასტიკათ დამარცხდა და დასავლეთის ფრონტზე წითელი ჯარები ვერასოდეს გამარჯვებას ველარ იხილავენ.

ეხლა იხსნება მეორე ფრონტი—აღმოსავლეთი და აქეთკენ იყურებიან უკვე მოსკოვის თვალები.

მოსკოვის პრესსა განსაკუთრებული ინტერესით ადევნებს თვალყურს ბოლშევიზმის ახალ ნაზარეთს, ხოლო ბოლშევიკების აგიტატორები გააფთრებული დაძრწიან ყვითელ კანიან ხალხების შორის.

„აღმოსავლეთში დაინთება სოციალიზმის დიდი ცეცხლი“—ამბობს ზინოვიევი, ,,სოციალიზმის მზე აღმოსავლეთიდან გაანათებს ქვეყნიერებას'' წინასწარმეტყველობს რადეკი.

შეიძლება აღმოსავლეთში არავითარი ცეცხლი არ დაინთოს, ან და ამ ცეცხლმა პირველად თვით ბოლშევიკები დასწვას, მაგრამ ჩვენთვის ერთი რამ არის ცხადი მოსკოვის ჯარები პოლონეთიდან აღმოსავლეთისაკენ დაიძვრებიან და საქართველო, სწორეთ ამ გზაზედ იმყოფება.

## მომარაგების სამინისტროში.

6.

**ისევ შანშიაშვილი.**

მოხსენება სახელ. კონტროლის წარმომადგენლისა ა. ლ. შავგულიძისა, გორის მაზრაში მომარაგების სამინისტროს რწმუნებულს შანშიაშვილის რევიზიის შესახებ:

18 ივლისი 1920წ.

(დასასრული)

აღსანიშნავია ეხლანდელი მდგომარეობა გორის მაზრაში სურსათის მხრივ. წელს ქინახული უზომოდ მოდის, ასე რომ მომავლის პერსპექტივა კარგ იმედს იძლევა, მაგრამ მთავრობის განკარგულებამდე აკრეფილი ქინახული მიდიოდა ახალციხისაკენ, ამის მოწამე მეც გახლდით სად. აგარაში. სოფლად დადიოდენ იქიდან ჩამოსული აგენტები, არ ერიდებოდნენ ფასს, რომლის მეოხებით სამინისტროს დადებულ ფასს გაუწიეს კონკურენცია და ასწიეს ფასი ქერის 700 მანეთამდე. ამ გაზიდვის დაკავებამ კი ფასი დასცა 300 მანეთამდე, მაგრამ თუ ვაგონებით არ მიდის, ურმებით მაინც გააქვთ ქინახული. თუ ჩვენი მთავრობა არ გამარჯვდა, ადრიანად არ მიაქცია ყურადღება, ეხლანდელი ორი ზარალი (ერთი რომელიც რკინის გზას მოაკლდა, ვინაიდან აეკრძალად ვაგონებით გადაზიდვა, მეორე ურმებით გატანა) მომავალში მიგვიყვანს ნეგანადგურებამდე. დღეს ქინახულის ნება აქვთ გაიტანონ 5 ფუთამდე, მაგრამ მეტიც გადის. კარეჯი საიდანაც გააქვთ ქინახული ბაკურიანის რაიონებ ოთხია. გამეფდა გატანაზე ქრთამობა, ყველა ფაცურობს თავის ეგოისტურ მხრის დასაკმაყოფილებლად. ასე რომ ფასების ნიველიროვკა რომ დიდხანს დარჩეს სასურველია საჩქარო რეპრესიები მთავრობის მხრივ. კიდევ ვიმეორებ ქინახულის უქონლობა—დაღუპვაა როგორიც მთავრობა არ უნდა იყოს.

დასასრულ უნდა მოგახსენოთ: წარმოდგენილი საბუთები რწმუნებულისა შესახებ ფასეულობის, ჩემის აზრით არ ჩაითვლება უეფექტოდ, ვერც სახელმწიფო კონტროლი მონახავს რაიმე ცოდვებს, ვინაიდან ქაღალდი დაცული იურიდიულ ფორმით, მოკლებულია ეკონომიურს. ბაზრის ფასების რყევას, ვერავითარ საბაბს ვერ მისცემს კონტროლის მოხელეს, რომ რაიმე დაინახოს, ვინაიდან დღეის ნაყიდ საქონლის ანგარიში, როდესაც ფასი ხტის არა თვეობით, არამედ დღეობით და საათებით უნდა განხილულ იქმნეს რამდენიმე თვის ან წლის შემდგომ. წამოყენებულ ანგარიშში ფასის გაკრიტიკება კი ყოვლად შეუძლებელია რევიზორისათვის, რადგან არ არის ისეთი დაწესებული ნიხრი, რომელზედაც მათ შეეძლებათ დაყრდნობა, ამისათვის მე საჭიროდ მიმაჩნია დაარსდეს ისეთი ფაქტიური კონტროლი ამ საჭიროებისათვის, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს მომარაგების სამინისტროს ყოველ ოპერაციებს ადგილობრივად, და ააშორებს ხაზინას იმ კოლოსალურ ჯამს, რომელიც დღეს უკანონოდ იკარგება.

ამასთანამე მოგახსენებთ: მომარაგების სამინისტროს უწყება, როგორც მე წინა რაპორტში განვცხადე იმავე სამინისტროს საწყობის რევიზიის მოხდენისას, დღეს კატასტროფიულ მდგომარეობას განიცდის და თუ სახელმწიფო კონტროლმა თავისი კონტროლური ბრჭყალები (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) არ დაადო ვერავითარ მიზანს ვერ მიაღწევს. ხარჯი და კაცი ამ საქმისათვის არ არის დასაიანი, რადგან პატარა ხარჯი აუარებელ ქონებას გადაარჩენს გაფლანგვისაგან...

რევიზია დამთავრებულად არ მიმაჩნია. საბოლოო დასკვნა უნდა მოხდეს თვით სამინისტროში რწმუნებულის საბუთების გადასინჯვით.

(დართულია ოქმი)

ა. შავგულიძე.

## ოქმიდან ერთი ამონაწერი

(იხილეთ ოქმი 25 ივლისის 1920 წ. დ. გორი).

,,მომარაგების სამინისტროდან მიღებულ საქონლის განაწილების საბუთების გადათვალიერებისას აღმოჩნდა შემდეგი: რწმუნებულს მიუღია სამინისტროდან 62 ფუთი შაქარი რაფინადი, გაუნაწილებია დაწესებულებებზე 50 ფუთი, აქედან 12 ფუთი არსად სჩანს. აგრეთვე მანუფაკტურაც; ხავერდი მიუღია 1.147 არშინი 11 ვერშ. დაურიგებია 106 ერთი მეოთხედი არშ. 87 არშ. 7 ვერშ. არ არის; მატყლის მატერია მიუღია 231 არშ. გადაუცია 224 ერთ ნახ.—6 ერთ ნახ. არშ. აკლია; ქალის ჩულქები მიუღია 40 დიუჟინი, დაურიგებია 25—15 დიუჟინი აკლია.

ეს მაგალითები არის ამოკრეფილი ფაქტიურ რევიზორის მიერ, საქონელი სამინისტროდან ბევრნაირი, სხვა და სხვა გვარის და ხარისხისა არის გადმოგზავნილი, ამისათვის მოკლებული გვაქ. დი საშუალებას დაწვრილებით გადაგვეშინჯა''.

დედანთან [illegible]

ფულის დანაწილების [illegible]

მოხსენებული.

# დეპეშები.

## ლეონის ცნობები.

**ტროცკის დაჭრა.**

პტი პარიზიენის ცნობებით, რომელიც მას ფირლიანდიდან მიუღია წითელ არმიელებში სერიოზული აჯანყება დაიწყო. ტროცკი დაუჭრიათ იგივე გაზეთი იუწყება: ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს დასცალონ სპარსეთი. ინგლისმა განიხილა საბჭოთა რუსეთის პასუხი ტყვეების და ბოლშევიკ პროპაგანდისტების განთავისუფლების შესახებ. არ სცნო იგი დამაკმაყოფილებლად და ხვალისათვის კრასინს ახალ ნოტას გაუგზავნის.

## ს. დ. ს. ს. გ. ცნობები.

**ნავთის წარმოება.**

**ციურიხი.** 1 ოქტომბერი. ,,ნეიე ციურიხე ცეიტუნგი'' სწერს: ვაჭრობა-მრეწველობის ყოველ დარგში ნავთის მრეწველობა უფრო არის გამსჭვალული პოლიტიკით. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებამ ფაქტიურად ისეთი მდგომარეობა დაამყარა რომ მთელი ნავთის წარმოება და მისი მრეწველობა ამ ორ სახელმწიფოს გავლენას დაუმორჩილა. ამ შემთხვევაში ამერიკის მწარმოებლ. მოუხდებათ ბრძოლის წარმოება ინგლის-საფრანგეთის მრეწველობასთან. პრესა იუწყება: ეს ბრძოლა უკვე დაიწყოვო. ნიუიორკში ნავთზე ნაფთზე წინანდელი ფასია მიუხედავათ მისი ნაკლოვანების ჯერ-ჯერობით არ იზრდება. საერთოდ ამერიკა საკუთარ ნავთით არის უზრუნველყოფილი, მაშინ, როდესაც საფრანგეთი და ინგლისი სხვის ნავთზე არიან დამოკიდებულნი. ამ ჟამად მთელი ყურადღება მიქცეულია რუმინეთის ნავთზე რომლის დამუშავება გაძლიერებული ემპით ტსწარმოებს.

**ჟურნალი ,,დედება''-სი და ,,ჰუმანიტე''-ს პოლემიკა.**

**პარიზი.** ოქტომბრის 1. ,,ჟურნალ დე დება'' სწერს: ,,ჰიუმანიტემ'' თავის ფურცლებზე ამ უკანასკნელ დღეებში ფარდა ახადა საბჭოთა რუსეთის ცხოვრებას. გაზეთი აღნიშნავს საბჭოთა სამოთხის ცხოვრების შემაძრწუნებელ ამბებს. თუ მის მიერ მოთხრობილი ამბები მართალია რა უფლება აქვს ჰუმანიტეს, ურჩიოს საფრანგეთის მუშებს სოციალური რევოლიუციის მოხდენა და რუსეთის მაგალითისათვის მიბაძვა, რომლის რევოლიუციამაც მხოლოდ დანგრევა და ტანჯვა მოიტანა ამიტომ დღევანდელ პირობებში სოციალურ გარდაქმნის შემდეგ ხალხი უფრო უბედურად იგრძნობს თავს. შემდეგ გაზეთი ეხება მემარცხენე სოციალისტთა პოზიციას, რომლებსაც საბჭოთა რუსეთის მიზეზათ ევროპის სახელმწიფოების მთავრობათა კონტრევოლიუციონური მოღვაწეობა მიაჩნიათ და რომლებსაც ან უნდა დაინახონ თვით ბოლშევიკურ წყობილებაში უარყოფითი მხარეები, რომელმაც სახელმწიფო ტირანიას, დანგრევასა და შიმშილობამდი მიიყვანა. რუსეთში მუშათა შრომის ნაყოფიერება ძალიან დაეცა. არც დისციპლინაა დაცული. სოციალურ შემოქმედებისათვის საჭიროა იყო მაძღარი და ქონდეს თავისუფლება და არა როგორც რუსეთშია დამშეული და დამორჩილებული. ამ შეხედულებას იზიარებს ფრანგი სოციალისტები, შვეიცარიის სოციალისტები, და ინგლისის ტრედ უნიონისტები. ,,ჟურნალ დედებას'' მოყავს ადგილი ,,მერკურ დე ფრანსის'' წერილიდან სადაც აღნიშნულია რომ ბოლშევიზმი თავისი პოლიტიკური მრწამსით და სპეციალურ რუსულ ტრადიციებით კონსერვატიულიაო.

**ლენინის დეკრეტი.**

მოსკოვი. ოქტომბრის 1. გამოქვეყნდა დეკრეტი ლენინის ხელ მოწერილი საზოგადო დაწესებულებების და უცხოეთის სახელმწიფოთა მისიებთან დამოკიდებულების შესახებ თანახმად დეკრეტისა მათთან დამოკიდებულების დაკავება შეიძლება მხოლოდ საგარეო საქმეთა კომისარიატის საშუალებით.

# ლიტერატურა და ხელოვნება

## რიონი

გრძნეულ ტალღებში მუდმივ დუღილით
მოდის, მობორგავს რუხი რიონი;
და მთვარის სახე მისს მკერდს დუმილით
ამკობს, ვით ძველი მედალიონი.

ეს ჯაჭვის ხიდი, როგორც სარტყელი,
მას გადაჰკვრია მოღვედილ წელზე;
და ყელს უმშვენებს მას ცისარტყელა,
რა წამსაც ძევსე... ჰსდგება ცერზე,

გარს მთა და ველი გადაქარგული,
ვით ფარჩეული გადაფენილა;
და... ნეტავ რა აქვს მას დაკარგული,
რომ აგრე შფოთავს და მოწყენილა?!..

მაგრამ შეხედეთ: წარსულის კვალი
მისს არე-მარეს კიდევ ატყვია;
სჩანს, რომ დიდი ხვდა საქვეყნო ვალი,—
არ დაკლებია ცეცხლი და ტყვია...

და ის იგონებს ყოფილ დროებას,
ნახულ სურათებს თვის ნაპირებზე;
ვერ დაივიწყებს, ვით სიტკბოებას,
თეთრ მოგონებებს უკვდავ გმირებზე.

მისს სულს აშფოთებს იმათი ბედი...
დღესაც კი ახსოვს, თუ რამდენია...
და მათზე ოხრავს რიონის მკერდი...
და არც დასცხრება მისი გენია!..

**ინ-ერ-შან**

## რუსთაველის მსოფლიო-მზერა.

**3. მიჯნურობა.**

მთლად რომ დაღუპულიყო ,,ვეფხისტყაოსანი“ და მხოლოდ ლეგენდარული ვინაობა დარჩენილიყო მისი ავტორის, რუსთაველი მაინც დიდი პოეტი იქნებოდა. ნათელი პროფილი: მესხური რიტმით გამართული,—ნელი როგორც დიდი შუადღე აღმოსავალის,—გონიერი ფრიად: ჰელლენთა ცოდნით ამახვილებული,—და თან: დამწვარი თამარის შორეული სიყვარულით, რომელიც თითქო იმისათვის არ სრულდება, რომ არ დაიფერფლოს ღმერთობის ცეცხლი. ამ ხაზებში უკვე მოცემულია რენესსანსის სურნელი: მადონნას კულტი. ხოლო ქვევით უკანასკნელი კიდევ უფრო ამძაფრებულია. შეყვარებული პოეტი, რომელიც საყვარელ ქალს ალბად ისე უმზერს, რომ მისგან ღვთიურობა უნდა იშვას, მიდის განდევგილად იერუსალიმს და იქ ერთს ცნობილს სამონასტროში ჯვარცმულის წინაშე ნათელი ჩქურით საყვარელ ლანდს იხსენებს ლოცვებით დამთვრალი. სიყვარულით დადაღული პოეტი ჯვარს ეტრფის: ალბად ჯვარცმისათვის. ჭეშმარიტად მართალია ბალმონტი, რომელმაც რუსთაველს ,,სიყვარულის ჯვაროსანი'' უწოდა.

ასეთი პოეტისათვის მიჯნურობა ქვეყნის გამართლებაა. მხოლოდ მიჯნურობაში ცნაურდება მისთვის სამყარო თვით არსი, რუსთაველი თამამია და მიჯნურობას შეშლილობას უწოდებს პირდაპირ: ,,მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულისა ენითა'', ცხადია: აქ იგულისხმება ჰელლენური ,,წმინდა შეშლილობა''. მსოფლიო თითქო რკინეული სილლოგიზმებით მდინარებს, მაგრამ ერთი უეცარი ხტილის ამოვარდნა და: ირღვევიან სილლოგიზმები ,,იშლება'' ყველაფერი და საცაა მოახლოვებულია ღვთის სუნთქვა. სწორედ სიყვარული ვერ ეტევა სილლოგიზმების რკალებში და სწორედ მიჯნურობით ,,იშლება'' ქვეყანა. მაგრამ ამ ,,შეშლაში'' მართლაც მოჰქრის ვით ნიავი ნელი სიახლოვე ღვთისა. რუსთაველი იტყვის გაკვრით: ,,ზოგთა აქვთ საღმრთო სიახლე''. თითქო ჰსურს ამით გვამცნოს საცნაური. ცხადია: ასეთი მიჯნურობა არ არის ჩვეული ავხორცობა: ,,იგი სხვაა, სიძვა სხვაა''. იგი უფრო აცეცხლებაა შორითი: ,,შორით ბნედა, შორით კდომა, შორით დაგვა, შორით ალვა''. რისთვის მაინცა და მაინც ,,შორით''? მისთვის უთუოდ, რომ სიყვარული ქმნადია უზენაესი და მისი გამოწრთობა შორეთის სიძნელეში შეიძლება მხოლოდ, მისთვის უთუოდ, რომ სიცოცხლე სიცეცხლეა (—გაიხსენეთ ძველი ჰერაკლეიტოს) და მისი უკანასკნელი შეგზნება სიძნელეთა დაძლევაშია მხოლოდ.

რუსთაველის პოემა მართლაც აცეცხლებაა სიცოცხლისა, ჯერ ,,ველად გაჭრილობა''. მიჯნური თავის თავს არ ეკუთვნის. იგი გაურბის თავის თავს. იგი ვერ ითმენს ,,თვითებით'' ყოფას და ჰლამობს საპირადოს ნაპირი გადალახოს. მას ყველგან უნდა ყოფა და თან არ სად: ყველგან მისათვის, რადგან თავის თავს ვერ უძლებს; არსად მისათვის, რადგან თავის თავს ვერსად ნახულობს. პოეტური ხაზი ამგვარი ყოფის ,,ველად გაჭრაა'' უთუოდ. მარტო ამ მუხლში რუსთაველმა ისეთი ძალა გამოიჩინა ინტუიტიური ხილვისა, რომლის მსგავსი ბევრს სხვა პოეტებს არც კი მოლანდებიათ. ,,საწუთრო და სოფელს ყოფნა კაცნი ურნსო ვით ნადირსა, თა თანა იარების მინდორს სტირსა''. ასეთიჰ ტარიელ. იგი თვითონაც ამბობს: ,,სევდად მექა კაცთა ნახვა, ცეცხლი უფრო გავიალე''. ტარიელის მიჯნურობა ჰირვეულობაა ნამდვილი. მისი ,,გაჭრა ველად'' უკანასკნელი ხაზია სიყვარულის.

სიყვარული ტარიელისათვის წრეგადასული შეშლილობაა. ,,რომე ვეფხი მშვენიერი სახედ მისად დამინახავს, ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს''. ვეფხის ტყავი მისთვის აცვია, რომ ვეფხი ლამაზია და ნესტანს აგონებს მას. მაგრამ გავყვეთ ქვევით. შეხვდება: ლომი და ვეფხი იბრძვიან. გადაიჭრება და მოჰკლავს ლომს. შემდეგ კი: ,,ხმალი გავტყორცე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა, მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა''. ვეფხს შეიპყრობს და კოცნა მოუნდა: ამაზე შორს ვერ წავა სიყვარულით შეშლილობა. ეს არ არის უბრალო გადამეტება პოეტური: ეს რწმენაა რუსთაველის.

საკვირველია: ტარიელ არის რაინდი შემმართებელი და ამავე დროს სიყვარულში რბილია. არსად ისე არ გამოსახულა ქართველი ვაჟის რასსიული ხასიათი როგორც აქ. მარტო ეს ხაზი კმარა რუსთაველის ორიგინალობისათვის. ქართველი ვაჟი მეომარია შემმუსვრელი, მაგრამ მას აკლია რკინა სკანდინავიის სკალდის. რაც უნდ ძლევამოსილი იყოს ქართველი ვაჟი, მასში მაინც გამოჩნდება ერთგვარი სირბილე. ტარიელ პასსიურ როლს თამაშობს მიჯნურობაში. სამაგიეროდ სულ სხვაა ნესტან: იგი უფრო აქტიურია სიყვარულში. მაგრამ ტარიელ ქაჯეთის ციხეს აიღებს,—ნესტან კი აცხადებს სიყვარულის ხილვას. საგულისხმოა: უკანასკნელი ათვისება სიყვარულისა რუსთაველმა ნესტანს მიანიჭა.

,,წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა წინაშე მიწერილი'' დამამშვენებელია მთელი პოემის. აქ არის უბრალო, მაგრამ გულჩამწდომი ლირიული ატირება: ,,უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია'', მთელი სიძლიერე ამ სამს სიტყვაშია მოქცეული: ,,რა დიდი ძნელია''. კიდევ უფრო უბრალოა, მაგრამ კიდევ უფრო მეტყველი შემდეგი თქმა: ,,ვზი მზრდელი სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგულისად''. მთელი სიახლე, გრძნობისა ამ ორი სიტყვითაა გამოთქმული: ,,მზრდელი სიყვარულისა''. არის აქ ლირიული შეფიცვაც: ,,შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰ ვდეს მთვარე შენი, შენმან მზემან, ვერვის მიჰხვდეს მოცავიდეს საგნი მზენი''. შემდეგ სიკვდილის ლოდინი და მარადისობის სურვილი: ,,აქა თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლავან დიდი კლდენი; სული ჩემი შეივედრენ, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი''. კიდევ უფრო ძლიერია შემდეგი ხანა ,,ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლავ დამიხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომისა; მომცეს ფრთენი და აღვფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა, დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვისა კრთომასა''. აქ მზე კოსმიურად არის აღქმული.

სიყვარული არის „ცალობის'' ძლევა. ცალობა: არყოფის კარი. დაცილება: სიკვდილი. სიყვარული უკანასკნელი ძლევს დაშორებას და მით სიკვდილსაც. ყველა ეს კოსმიურად აქვს ნესტანს შეგნებული. იგი სწერს ტარიელს: ,,მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი''. ამ სიტყვებში ადამიანის უკვდავება თითქმის მატერიული სიმტკიცით არის შეცნეული. წინა ხანის ბოლოში ნესტან იმედოვნობს, რომ იგი მიცვლილი გადავა მარადობის მზის ხილვაში. ახლა მზის ,,წილობას'' ტარიელს აკუთვნებს. მაშასადამე: დაძლეულია დაცილება და თან სიკვდილიც. ამისათვის უხმობს ტარიელს ნესტან: ,,გალანამცა მას იახლე, მისი ეტლი არ თუ წბილი მუნა გნახო, მანდვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი''.

სიყვარული გამართლებაა სამყაროსი, აი რუსთაველის პოემის სურნელი არის.

**გრიგოლ რობაქიძე.**

კურსები უც დინართათვის
სახალხო განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა წერა-კითხვის უკოდინარობის სალიკვიდაციოდ დაარსოს სრულიად მთელი რუსეთის ჩრეზვიჩაიკა.

# სომხეთი.

**სომხეთი და ანტანტა.**

(ს. დ. ხ.)

საფრანგეთის და იტალიის წრიომ დენლები სომხეთში. საფრანგეთის კომისარმა და საფრანგეთის უმაღლეს კომისრის მოადგილემ ამიერ კავკასიაში ნიუმანმა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სომხეთის მდგომარეობის შესახებ განაცხადა: მე დარწმუნებული ვარ, რომ სომხეთი უეჭველად გაიმარჯვებს ოსმალეთის ნაციონალისტებზე სომხეთის ჯარი ღირსია ქებისა თავისი საოცარი დისციპლინით და სამხედრო გმირობით სომხეთი უნდა ელოდის აქტიურ დახმარებას მოკავშირეთა მხრით, რომელთა ჯარები ინტენსიურ შეტევას აწარმოებენ ოსმალეთთან. ამ ჟამად ისეთი მდგომარეობა შეიქნა, როდესაც მოკავშირეებს არ ძალუძთ გადმოისროლონ თავისი ჯარები და სომხეთს უშუამავლო დახმარება აღმოუჩინონ ცოცხალ ძალებით. მოკავშირეთა ძალებს მეტი მნიშვნელობა აქვთ იმ ფრონტებით უმეტეს, რომ იქ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არის გზაზე მიმოსვლა და ჯარისთვის სურსათ სანოვაგის მიწოდების საქმე. მე გარკვევით შემიძლია განვაცხადო, რომ მოკავშირეთა სამხედრო ძალები გენ. გუროს სარდლობით მეტი სიმხნევით ეხმარებიან სომხეთის რესპუბლიკას და უნდათ მისი გადარჩენა სომხეთი ღირსია დამოუკიდებელ პოლიტიკურ და იკონომიურ არსებობისა. იმის სამ ფუ პოლიტიკურ აგენტი მათ ალეთების აღმაშფოთებელმა ფრაზ ნიმაც რწმენა გამოსთქვა, რომ მოკავშირენი შესძლებენ აიძულონ ოსმალეთის ნაციონალისტები გაუწიონ ანგარიში ხავო კონფერენციის დადგენილების, სომხეთს მოკავშირენი დიდი სიმპატიით უყურებენ და ამიტომ მოკავშირენი ყოველგვარ ზომებს მიიღებენ უზრუნველყონ სომხეთი პოლიტიკური და ეკონომიური მხრით. მოკავშირენი გამონახავენ საშვალებას და აიძულებენ ქემალისტებს პატივი სცენ სომხეთის დამოუკიდებლობას.

# ლიტვა და აზერბაიჯანი.

ლიტვის წარმომადგენელმა აზერბეიჯანის რესპუბლიკის საგარეო კომისარს მიმართა შემდეგი განცხადებით: ჩემდამი მოღწეულ ცნობით აზირბაიჯანში მცხოვრებ ლიტვის მოქალაქეთა და ლიტვის საკონსულოს მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი, აზერბაიჯანისა და ლიტვის მთავრობას შორის ფორმალურ კავშირის უქონლობის გამო. ლიტვის წარმომადგენელმა აზერბაიჯანის წარმომადგენელს შემდეგი აცნობა: 1. ლიტვამ მე წარმომგზავნა თავის წარმომადგენლათ აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებთან. ლიტვა ანგარიშს არ უწევს ამ შემთხვევაში მთავრობისა და წყობილების ფორმის შეცვლას და ის ერთგული რჩება ერთა თავისუფალი თვით გამორკვევისა და მათ შინაურ საქმეში ჩაურევლობის პრინციპისა. 3. ლიტვის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფორმალური აქტები დაიდება მხოლოდ დამფუძნებელ კრების სანქციით, რომელიც სულ მორი თვეარაც შეიკრიბა. 3. თვით ფაქტი წარმომადგენელის დანიშვნისა მოწმობს ლიტვის მიერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის აღიარებას. 4. ვინაიდან ზემოდ აღნიშნული მიზეზებით აზერბაიჯანის მთავრობასთან რჩება ლიტვის წარმომადგენლობა ამიტომ აზერბაიჯანის მთავრობას არა აქვს საბუთი გამოიცვალოს თავის დამოკიდებულება აზერბეიჯანში მცხოვრებ ლიტველებთან და ლიტვის საკონსულოსთან 5. ლიტვის დამოუკიდებლობაზე უარის თქმა არ შეიძლება გამართლებულ იქმნას საბჭოთა რუსეთისა და ლიტვის დამოუკიდებლობით, ვინაიდან ამ ჟამად არაა რუსეთისა და ლიტვის ხალხის ძმურათ ცხოვრების დამაბრკოლებელი მიზეზი ის რაც ზემოთ მოგახსენეთ ვფიქრობ საკითხის გადაწყვეტისათვის საკმაოა. მე როგორც ლიტვის მთავრობის წარმომადგენელი ვთხოულობ აღიაროს აზერბაიჯანმა ლიტვის დამოუკიდებლობა.

**შეთანხმება ლიტვისა და აზერბაიჯანის შორის.** ზემოდ აღნიშნული ლიტვის წარმომადგენელის ნოტის შემდეგ ლიტვისა და აზერბაიჯანის მთავრობის შორის მოხდა შეთანხმება შემდეგ საფუძველებზე: 1. აზერბაიჯანის მთავრობა თავის ტერიტორიიზე მცხოვრებ ლიტველებს ანიჭებს იმ უფლებებს, რაც მინიჭებული აქვს რუსეთში მცხოვრებ ლიტველებს თანახმად ივლისის 12 სამშვიდობო ხელშეკრულებისა. 2 ლიტვის მთავრობას ლიტვის ტერიტორიაზე მცხოვრებ აზერბაიჯანის ამგვარივე უფლებებს ანიჭებს. ის შეთანხმება ძალაში შედის სათანადო ხელის მოწერის დრო იდანვე.

# სომხეთ-ოსმალეთის ომი

**სომხეთის დიპლომატიური მისიის ოფიციალური ცნობა**

ოქტომბრისთვის 8 ს. ფრონტებზე მცირე ჩ შეტაკებანი იყო. რომ ... ჩვენს სასარგებლოდ.

**სომეხ—აზერბაიჯანის კონფერენცია**

აზერბაიჯანის მუშათა საბჭოს, წითელ არმიელთა და მატროსთა დეპუტატთა წინადადებით, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ აცნობა სომხეთის მთავრობას, რომ იგი მზად არის მოიწვიოს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფერენცია. სომხეთის მთავრობამ აზერბაიჯანის წინადადებაზე პრინციპიალური თანხმობა განაცხადა და დაავალა თავის დიპლომატიურ წარმომადგენელს ბაქოში გაუმართოს მოლაპარაკება სახალხო კომისართა საბჭოსთან აღნიშნულ წინადადების განხორციელების საშვალებათა შესახებ.

**„ნორ-აშხატავორი“ სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ.**

„დაშნაკცუტიუნის ორგანო ნორ-აშხატავორი“-ი 9 ოქტომბრის მეთაურ წერილში—„საერთო საშიშროების წინაშე“, ოსმალთა შემოსევით წარმოშობილ საშიშროების შესახებ, სხვათა შორის, სწერს:

„ანტირევოლიუციური ოსმალეთი ქემალისტ კარა-ბექირ ქიაზიმის ხელმძღვანელობით მოდის სამხრეთიდან თავისი ფეოდალური პროგრამის განსახორციელებლად ამიერ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათა გასანადგურებლად და მათი ნანგრევებზე თავისი აზიური ბარბაროსული სახელმწიფოებრივი ფორმების გასავრცელებლად „მუშათა და გლეხთა“ რუსეთის თავგზიანი დახმარებით. დღეს სომხეთის მშრომელი ხალხი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით პირველი ღებულობს და წინააღმდეგობას უწევს ფაშათა ხროვის სისხლიან დაკვრას და მით იცავს საქართველოს მშრომელ ხალხს ამ ანტირევოლიუციურ და დამლუპველ ტალღისაგან და აძლევს მას შესაძლებლობას ანაგრძოს თავისი შედარებით მშვიდობიანი და ნორმალური ცხოვრება. მაგრამ მომავალი საშიშროება საერთოა და ახალი.

საშიშროების წინაშე უნდა შეერთდნენ და ითანამშრომლონ ყველა რევოლიუციური ძალებმა, აი დღევანდელი ლოზუნგი და მორიგი პოლიტიკა. ამიერ-კავკასიის ორ რესპუბლიკების—სომხეთის და საქართველოს თანამშრომლობა გამომდინარეობს მათი რეალი ინტერესებიდან და თავდაცვითი ინსტიქტიდან. ორივე სახელმწიფოების მართველებივალდებულნი არიან შეიგნონ მომენტის დიდი ნაკარნახევი მოთხოვნილება და ცხადათ შეითვისონ, რომ არავითარი სეპარატიული მოლაპარაკება ან შეთანხმება ვერ იხსნის ვერც ერთ ზიანს!. ხოლო უეჭველად კი დაჰღუპავს ორივეს ერთად“...

# ეკონომიური ცხოვრება.

**ქვანახშირი.**

ქვანახშირს ევროპის მრეწველობისთვის გადამწყვეტი და დამახასიათებელი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით ბელგეთისათვის, სადაც მრეწველობა უფრო ესათ განვითარებული. იმის დასახასიათებლათ თუ როგორ მუშაობენ იქ საკუთარ მრეწველობის განვითარებლათ, მოვიყვანთ შემდეგ საგულისხმო ციფრებს.:

ქვანახშირის დამუშავება გაიზარდა 1920 წ. ივნისში 98 პროც—მდე იმისა რასაც ბელგეთი აზადებდა ომამდე. ასეთ კარგს შედეგს მიაღწიეს მიუხედავად რვა საათის სამუშაო დღისა ყველა მადაროებში. 25 სამუშაო დღის განმავლობაში დაამუშავეს სულ 1.887.235 ტონა ქვანახშირი. (ტონა უდრის დაახლოვებით სამოცდა ერთ ფუთს).

**ბოლშევიკების კომერცია.**

პირველი ნიმუში ბოლშევიკთა კომერციული დამოკიდებულებისა უცხოეთთან იყო იტალიაში გაგზავნა 4 ათასი ტონა ხორბალსა როდესაც გემი ნეაპოლში მივიდა და იტალიელები საქონელის ჩასაბარებლათ მივიდნენ გემთან პიერკალვი აღმოჩნდა:

2.300 ტონა ქერი ზღვით გაფუჭებული აქედან 171 ტომარა სავსებით დამპალიყო 700 ტონა სიმინდი გამწარებული და საჭმელათ გამოუსადეგარი კიდევ 700 ტონა ხორბალი სამი ოთხი წლისა, რომელშიც იყო გარეული: მიწა, დასურათებული ფოსტის ბარათები, ძველი ფეხსაცმელის ნაფლეთები. დაუცლელი პატრონები ფრანგ ინგლისელ თოფებისა და სხვ. ამგვარი.

ასეთმა მოქმედებამ სრულიად გაუტეხა სახელი ბოლშევიკების „კოოპერატივთა“ საქმიანობას.

**შაქრის მოყვანა ევროპაში.**

მცოდნე პირთა ცნობით ევროპაში შემდეგი რაოდენობაა შაქრის მოსავლისა ჭარხლისაგან:

| | 1920.1921 | 1919.1920 |
|---|---|---|
| გერმანია ტონა | 1.300.000 | 750.000 |
| ჩ-სლავია, უნგრეთი ავსტრ. | 800.000 | 600.000 |
| საფრანგეთი | 300.000 | 154.444 |
| ბელგია | 200.000 | 125.000 |
| ჰოლანდია | 300.000 | 140.000 |
| რუსეთი | 350.000 | 350.000 |
| შვეცია | 160.000 | 150.000 |
| დანია | 165.000 | 160.000 |
| იტალია | 170.000 | 150.000 |
| ჰესპანია | 180.000 | 120.000 |
| შვეიცარია | 5.000 | 4.000 |
| ბულგარია | 15.000 | 15.000 |
| სულ | 3.945.000 | 2.878 444 |

# უცხოეთი

**ქემალ ფაშა.**

სტამბოლის გაზეთები ასე ახასიათებენ ქემალ ფაშას: „შეიძლება თამამად ითქვას, რომ მუსტაფა ქემალ-ფაშა დღენდელ დღეს განიცდის უმაღლეს გაწაების წუთებს, იმ განსხვავებით, რომ სხვა ასეთს სასოწარკვეთილებაში ჩუმბლს შეიკრავდა და დანაღვლიანებული თავს ჩაქინდრავდა, იგი გაცოფებულია და მის დესპოტიზმს იმავე სასოწარკვეთილებამ დემონის ფრთები ააშლევინა. ყოველთვის, რამდენჯერაც ერთ ფრონტზე დამარცხების სიმწვავეს განიცდის, განსაკუთრებით საბერძნეთის ფრონტზე, იმდენს უფრო უმატებს ბოროტებას, თავის ქერქში აღარ ეტევა და გულზე მომდგარ ჯავრს ან თავისიანებს ჰყრილობს, ან და ახალ მხარეს ირჩევს სარევანშოთ თავის ვაების დასაცხრობად. მის შტაბში შეუძლებელია ვინმე დაიძრას სამხედრო მოქმედების შესახებ. ყოველგვარი წინააღმდეგობა მას მიაჩნია მისსა და სამშობლოს ღალატათ. ოდნავი ეჭვი მას ააფთრებს, მოთმინებიდან გამოჰყავს. ის ბრძანებს... ბრძანება ასრულებული უნდა იქმნეს... იგი უკიდურესი აღმოსავლეთის დესპოტია!..

ვიდრე სმირნასა და ბრუსთან დამარცხების სიმწვავეს განიცდიდა, ნაციონალისტთა ერთ ნაწილს კიდევ სჯეროდა ქემალის უმაღლეს მოწოდებისა, თავს იტყუებდნენ თვალწარმტაცი ილლუზიებით, მაგრამ დამარცხებით გააფთრებულმა მუსტაფამ შემდეგ რომ არც შინაური დაინდო, არც გარეული, ყველამ მასში დაინახეს ყაჩაღია ბელადი, რომელიც ყველა კლასისა და ყველა საზოგადოებისთვის საშიშ ნადირს წარმოადგენს.

მაგრამ ამ ნადირმა იცის თავის მოკატუნებაცა: ესაა ლოცვის დროს! როდესაც ის ბრწყინვალედ აღავლენს თვალს მოჩუქურთმებულ მეჩეთის გუმბათისკენ, ყველანი დუმილით გარს ერტყმიან და იმ მოწიწებით ეთაყვანებიან, როგორც ოდესღაც დიდ ხალიფებს სცემდნენ თაყვანსა. ამ დროს მთვრალია ბედნიერებით მუსტაფა ქემალ, მთვრალია და დუმილით უბრუნდება შტაბს, რომ ალლაჰის სახელით კიდევ ცეცხლი და მახვილი ააღებინოს ფანატიზმით დაბრმავებულს თავის ერთმორწმუნეებს. მაგრამ როდემდის?—აი კითხვა, რასაც ჩვენ ვაძლევთ!.. „ლ. ჟურ. დორ.“

# ახალი ამბები.

## მთავრობაში.

**—მთავრობის ზომები. რკინის გზის აღმშენებლობა.** მთავრობამ ოქტომბრის 5 სხდომაზე დაადგინა: იცნოს შესაძლებლად ახალქალაქ-სენაკ-ზუგდიდის რკინის გზის შტოს გაგრძელება ქალ. ზუგდიდამდე გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის მიერ წარდგენილ ვარიანტის თანახმად იმ პირობით, თუ ზუგდიდი შტოს გაყვანისათვის საჭირო მიწის სამუშაოს თავის თავზე მიიღებს.

**— სამოქალაქო მდგომარეობის აქტები.** მთავრობამ დაადგინა მიიღოს იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი კანონ-პროექტი სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ. გადაწყდა პროექტი დამფუძნებელ კრებაში შეიტანონ.

**— ცენტრალური საფთიაქო საწყობები.** მთავრობამ მოისმინა რა მოხსენება ცენტრალური საფთიაქო საწყობის და 2 ლაბარატორიის დაარსების შესახებ, დაადგინა მიიღოს პრინციპიალურად მოხსენება. გადაწყდა გადასცენ არსებული საწყობი სახალხო ჯანმრთელობის დეპარტამენტს თავის განკარგულებაში და მიანდონ ფინანსთა მინისტრს და სახელმწიფო კონტროლს ჯანმრთელობის დეპარტამენტთან ერთათ შეიმუშავონ შტატი და ხარჯთაღრიცხვა და წარუდგინონ იგი მთავრობას.

**— მთავრობის თავმჯდომარესთან.** ოქტომბრის 8 მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ინახულა ინგლისის უმაღლესმა კომისარმა პოლკოვნიკმა სტოკსმა და ხანგრძლივი მოლაპარაკება ქონდა მასთან. მთავრობის თავმჯდომარე ინახულა აგრეთვე ევროპის სოციალისტთა დელეგაციის წევრმა დებრუკერმა და ზუგდიდის ერობისა და ქალაქის თვითმართველობის დელეგაციამ.

მთავრობის თავმჯდომარე იღებს მთხოვნელებს მხოლოდ ოთხშაბათობით 12–2 საათამდი მთავრობის სახლში. მთხოვნელები უეჭველად 10—12 საათამდი უნდა ჩაიწერონ.

## სამინისტროში.

**— განათლების სამინისტროში.** განათლების სამინისტრომ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს დასაჯოს ადმინისტრატიული წესით დაჯარიმებით ან ციხეში დამწყვდევით ყველა ის სტამბის მეპატრონეები, რომლებიც არღვევენ 1919 წ. დეკემბრის 16 კანონს დაბეჭდილ ნაწარმოებთა 12 ცალად განათლების სამინისტროში წარმოდგენის შესახებ.

## მუშათა შორის

**— მუშათა სახლი ფოთში.** ფოთის ნავთსადგურის მუშათა საავადმყოფოს კასის გამგეობამ სთხოვა შრომის სამინისტროს ნებართვა რომ თავის საშუალებიდან ფოთის მუშათა სასახლის ასაგებად გაიღოს 500,000 მანეთი, იმ პირობით, რომ სასახლეში კასის გამგეობას დაეთმოს 5 ოთახი. შრომის სამინისტრომ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა, მხოლოდ საავადმყოფო კასას უნდა დაეთმოს საჭირო ოთახები.

**— რკინის გზათა მოსამსახურეთა სასურსათო კომიტეტი.** საქართველოს რკინის გზის მოსამსახურეთა სასურსათო კომიტეტმა სავაჭრო დამოკიდებულება დაიკავა ისპანიასთან. მადრიდიდან უკვე მოვიდა 4 ვაგონი საბავშვო და ქალთა ფეხსაცმელები და 5 ვაგონი მანუფაქტურა. სასურსათო კომიტეტმა ამის საფასურათ ხე-ტყე მისცა. სასურსათო კომიტეტმა ამასთანავე ხელშეკრულება დასდო იტალიის ფირმა ვალაცისთან ტყავეულობისა და მანუფაქტურის მოწოდების შესახებ.

**— ქუთაისი. 7 ოქტომბერი.** მუშაია მაგიდამ გადასწყვიტა სხვადასხვა დაწესებულებებში მოსამსახურეებს გამომცხვარი პურის მაგიერ მისცენ სულზე 1 გირვანქა ფქვილი. ამასთანავე მაგიდამ დაადგინა: მიიღოს ზომები მოსამსახურეთათვის შეშის შესაძენად. შეშის დამზადება მიენდო ქუთაისის სამაზრო ერობას.

## პროფესიონალურ კავშ.

**— რკინის გზელთა ყრილობა.** რკინის გზელთა პროფ. კავშირების გამგეობა ფიქრობს უახლოეს დროში მოიწვიოს სახაზინო რკინის გზების მოსამსახურეთა მუშების წარმომადგენელების მორიგი ყრილობა.

**— პროფესიონალ კავშირების სეკრეტარიატში. ზედამხედველობა წისქვილებზე.** შრომის სამინისტრო ქალაქის სასურსათო განყოფილებასთან შეთანხმებით აწარმოებს წისქვილებზე და ფურნეებზე დაწესებულ კონტროლის რეკონსტრუქციას, შრომის სამინისტროსა და სასურსათო განყოფილების აზრით უქმდება კონტროლის ორმაგი სისტემა. არსდება კონტროლის ერთი სისტემა სასურსათო განყოფილების მხრივ. კონტროლიერებათ პროფესიონალური კავშირებისა მიერ არჩეული პირები დაინიშნებიან. კონტროლიორები პასუხის მგებელნი არიან როგორც პროფ. კავშირების სასურსათო განყოფილების წინაშე. კონტროლიორებს პურის საქმის აგენტები ეწოდება. სულ განზრახულია 30 აგენტის დანიშვა. პროფეს. კავშირების სეკრეტარიატი გაეცნო რა ასეთ პროექტს დაადგინა დამტკიცდეს იგი და მისცეს წინადადება პროფ. კავშირებს წარმოაყენონ თავის მხრით კანდიდატები.

**— უმაღლესი ეკონომიური საბჭო.** სეკრეტარიატმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წინაშე მის შემადგენლობაში პროფ. კავშირთა წარმომადგენელების შესვლის შესახებ.

**— საავადმყოფო კასის კონფერენცია.** სეკრეტარიატმა დაადგინა მიიღოს ენერგიული მონაწილეობა საქართველოს საავადმყოფო კასათა კონფერენციის მოწვევის საქმეში და გააგზავნოს ამ კონფერენციაზე დასასწრებლად დეღრიხსონი და ბერეჟიანი.

# სამინისტრო კრიზისის ილუზიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა




რომელი სჯობია?: სამხედრო მინისტრობა, თუ ქალაქის თაობა?

**ისკანდერ მუნჯის**

## ფელეტონი

### სცენა საპატიმროში

პატიმრები მღერიან:

„...ორმოში ფეტვი ჩავყარე შესანახადაო.

შიგ რუხაძე ჩასულიყო დასალპობათაო...

შემოდის ვიქილი:

— გამარჯვება თქვენი.

— სასამართლოში გაგიმარჯოს ღმერთმა.

— აბა მამბეთ, ვინ რა საქმეზე ხართ დაჭერილი? შენ ვინ ხარ?

— იაკუბოვი, ბატონო.

— სპეკულიანტი ხარ?

— სტი მიტიკარა! სპეკულიანტობას ვინ მადირსებს? მე ხომ ევროპიულათ არა ვარ ნასწავლი. ერთი ვინმე მეწის ქვილე ვარ, ხორბალსა ვფქვავ, რაღა!

— რაზე დაგიჭირეს?

— ღმერთმა ნუ იცის რუხაძის თავი. ისეთი ხორბალი მოჰქონდა, რომ წისქვილი კი არა, ეშმაკი ვერ დაფქვამდა სურფ კარაპეტას მადლმა, ხორბალი კი არ იყო, ნაგავი იყო რაღა! რა გინდა, რომ არ ერია: ქვიშა, ქვა, ბალახი, ჩალა, მათრობელა, ბრუალა ვინ მოსთვლის? მოჰქონდა რუხაძეს ასეთი ბრიაბრუ მასალა და დაფქვიო. ვა, რა ჯაჰრიდ იზანა დაფქვამდა?

— შე კაცო, ეგ მასალა შენ უნდა გაგენიავებინა, გაგეცხრილა და მერე დამეფქვა.

— სტი მიტიკარა, რა უნდა გამენიავებინა? ქვიშას და ქვას ნიავი წაიღებს? გამეცხრილა? მერე რაღა დარჩებოდა? მიბძანებდნენ—ერთი ფუთი ხორბლიდგან ორი ფუთი უნდა დადგესო. რო გამენიავებინა და გამეცხრილა, ერთი გირვანქა არ დადგებოდა. მეც ყოველნაირ ნაგავს უმატებდი, რაც კი ხელში მომხვდებოდა, ოღონდ დაფქვილი გამემრავლებინა და პურის ფქვილათ გამესაღებინა.

— მერე მაგ პურს როგორა სჭამდი?

— ღმერთმა დამიფაროს, მე მაგ პურს რა მაჭმევდა? ეგ მუშების პური იყო და ჩინოვნიკების. დოხტურების თავი სადა მაქვს? მე ხორბალს ვარჩევდი. ცალკე ვფქვამდი და იმ პურს გიახლებოდი.

შენ ვილა ხარ?

— მეწისქვილე ალიხანოვი. ესეც ჩემი მუშა ხაჩატურა.

— შენც ფქვილს აფუჭებდი?

— ვა, გაფუჭებულს რაღა ეშმაკი გააფუჭებს! ვფქვამდი რაღა. მე ხომ ქრისტე ღმერთი ანა ვარ, რომ ქვიშა და ქვა კოუპჩატკათ გადამექცია.

— მათრობელას რაღათ ურევდი?

— მერე ეგ ცოდვაა? ღვინო გაძვირდა. ის არა სჯობია კაცმა პური ჭამოს გაძღეს და დათვრეს კიდეც!

აბა კიკულაძეს ჰკითხე?

— კიკულაძე ვიღაა?

— მე გახლავართ. კახეთის რკინის გზის აგენტი.

— შენ რაღათ ხარ დაჭერილი?

— ეშმაკმა იცის რუხაძეს თავი. ხორბალს ის ყიდულობდა და მე დამიჭირეს. მეწისქვილე ალიხანოვთან ერთათ იღებდი მონაწილეობას პურის გაფუჭებაშიო.

— შენა?

— სანოვიჩი ვარ, ქალაქის კონტროლიორი.

— შენ რაღა დააშავე?

— მე კი არ დავაშავე, ვინც კონტროლიორათ დამნიშნა, ჩემი ცოდო ჰქონდეს. ვიდრე კონტროლიორათ დამნიშნავდნენ ხორბალი თვალით არ მენახა. ასე მეგონა, ფრანცუზკი ბულკები ხეზე ასხია. არა, რომელი გამოცდილი, მეწისქვილე ან აგრონომი მე მნახეო რომ პურის საქმე ჩამაბარეს?

— მერე რათ იკისრე კონტროლიორობა?

— ხვალ რომ სამხედრო მინისტრათ დამნიშნონ, უარს ვიტყვი? ბენიასავით ხომ არ გავინაზები! ჯამაგირი კი მაძლიონ და...

ჯანდაბას იმათი თავი.

— შენ ვილა ხარ?

— ბურიოგე, სატეხნიკო განყოფილების გამგე.

— შენც ფქვილის საქმეზე ხარ?

— აქ ყველანი ფქვილის საქმეზე ვართ. ჩვენი კამერა ნამდვილი მომარაგების სამინისტროა: რკინის გზის აგენტი, კონტროლიორი, მეწისქვილეები, სატეხნიკო განყოფილების გამგე. მარტო მინისტრი გვაკლია.

— რუხაძეც აქ არის?

— არა, რუხაძე მხოლოდ სამსახურიდან დაითხოვეს.

კარგი კი იქნება, რუხაძეც რომ აქ გამოგზავნონ, მინისტრათ ავირჩევთ.

— თქვენ, გეტყობათ, არც თუ ძლიერ დარდობთ საპატიმროში.

— რა გვაქვს სადარდელი? სამი თვე მალე გაივლის.

ჩვენ ხომ სამართალში არა ვართ მიცემულნი.

ღმერთმა ადღეგრძელოს მთავრობის თავმჯდომარე. ადვილათ გადავრჩით.

— სამი თვის შემდეგ რაღას აპირებთ?

— მომარაგების სამინისტრო დალოცოს ღმერთმა. იქ წავალთ სამსახურში. ჩვენისთანა გამოცდილებს ვის იშოვნიან? სამ თვეზე, უეჭველია, მომარაგების სამინისტროს ნახევარ მოხელეს მაინც აქ გამოგზავნიან, ბევრი ვაკანსია გაიხსნება.

## სხვა და სხვა.

— **ბინის საკითხი.** ქალაქის გამგეობის საბინაო ნაწილი ამ ჟამად აწარმოებს რეკვიზიციას, მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში, მთავრობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის. რაც შეეხება დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის, მათ ჩააყენებენ სხვათა ბინებში, სადაც კი ეს შესაძლებელია.

— **ქურდობა.** რუსთაველის ქუჩაზე მცხოვრებმა ჭიჭიკო (იგივე ანდრია) დავითის ძე წულუკიძემ განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას, რომ მის შინ არ ყოფნის დროს როდესაც მეუღლე მისი ლიუბა მეორე ოთახში იმყოფებოდა, შეპარულან ვილაც ქურდები და მაგიდიდან წაუღიათ: 1) ოქროს საათი ქალისა სამაჯურით, 4 ბრილიანტით და ზურმუხტებით 2) ყელის სამკაული ოქროსი ლალით და ზურმუხტებით, 3) ქალის ბეჭედი 19 ბრილიანტით, ,,მაკიზეტი''. 4) სამაჯური ოქროს ჯაჭვისა და 5) საგულე ოქროსი, ოქროს ფოთლებით და მარგალიტებით შემკული. სულ 1.300.000 მანეთის ღირებულობისა. მილიციამ შეიპყრა მეზობელი მექუდე. გამოძიება გრძელდება. მიღებულია ენერგიული ზომები.

— **არტისტულ საზ. შენობა**' მთავრობის კომისიამ პ. დადვაძის თავმჯდომარეობით ჩაიბარა ავან იუზბაშევ ხან სივნალელისაგან არტისტიულ საზოგადოების შენობა. ამ ჟამად სწარმოებს მიღება სათეატრო ქონებისა მ. ი. ფითოევისაგან. შენობა აღებულია მთავრობის მიერ იჯარით 400,000 მანეთად 9 წლის ვადით, იჯარის განახლების უფლებით. იჯარის ფასს უქვითებს მთავრობა იმ ქირიაში, რომელიც უნდა იხადოს არტისტ. საზ ამ იმ ბინაში, რომელიც მას დღეს უჭირავს. ქართულ დრამის დირექტორად დაინიშნა პ. დადვაძე. 8 წარმოდგენიდან კვირაში 4 დღე დაეთმო ქართულ დრამატიულ საზ ს (კვირა საღამო, სამშაბათი, ხუთშაბათი, და შაბათი) სამი დღე მ. ი. ფითოევისა რუსულ დრამისთვის (ოთხშაბათი, პარასკევი და კვირა დილა) და ერთი დღე სომხურ დრამატიულ საზოგადოებას სეზონის გახსნის დღე ჯერ არ არის გადაჭრილი ქ ნ ფითოევისამ უკვე შეადგინა დასი.

**სოციალისტური დელეგაცია და შავი ზღვის მხარე.** სოციალისტურმა დელეგაცია გიუსმანსის სახით შავი ზღვის მხარის გლეხების დელეგატს ნიკოლაევს შემდეგი წერილით მიმართა: ,,ძვირფასო ამხანაგო, დასავლეთ ევროპის სოციალისტების დელეგაციამ კმაყოფილებით მიიღო დღეს დილით თქვენი ორგანიზაციის წევრი და დიდი ინტერესით წაიკითხა თქვენი მოხსენება. დელეგაცია მოვალეთ სთვლის თავს აცნობოთ ევროპის პროლეტარიატს ის მძიმე პირობები რომელშიაც თქვენ ცხოვრობდით და ისიც თუ როგორ იტანჯებოდით თქვენ. ჩვენი დელეგატები უკვე შეეკითხენ თავის ქვეყნების ოფიციალურ წარმომადგენლებს, თუ რატომ არ გასცეს მათ პასუხი თქვენ მიერ დეკემბერში წარდგენილ მოხსენებაზე. ვინ და უყოყმანოდ გაცნობებთ ოფიციალურ პასუხს. ჩვენ სურვილი გვაქვს ვიქონიოთ თქვენი თან კავშირი საქართველოს სოც.-დემ. საშუალებით. როგორიც თქვენ ისე თქვენც შორს ვდგევართ, როგორც რუსეთის რეაქციიდან ისე ბოლშევიზმიდან და ვიზამთ ყველაფერს რის შეძლებაც გვექნება თქვენ დასახმარებლად. შავი ზღვის მხარის გლეხების დელეგაციის წევრთმა გიუსმანსის წერილის საპასუხოთ ევროპის სოც. დელეგაციას მიმართა წერილით, რომელშიაც უღმრეს მადლობას უცხადებს დელეგაციას იმ ყურადღებისათვის, რომელიც გამოიჩინა მან შავი ზღვის მხარის გლეხებისადმი. წერილში აღნიშნულია, რომ შავის ზღვის მხარის გლეხების ერთ ერთი მიზანი და სურვილს შეადგენს გარეშე ძალების ჩაურევლობა, მათ შორის გენ. ვრანგელისაც.

— **თეატრი პანორამა.** ,,პანორამას'' ამხანაგობა იწყება მთავრობის დახმარებით მის მიერ დაწყებული შენობის აგება ამ მოკლე ხანში დასრულდებაო. სურათი ,,გოლგოთა'', რომელიც მიუნხენის ცნობილ მხატვრების მიერ არის დახატული უკვე ჩამოიტანეს ტფილისში. თეატრში სახალხო წარმოდგენები გაიმართება. თეატრი დაიტევს 5.000 კაცს.

— **სად მოს სამუშაო.** სოხუმის შრომის კომისარი შეეკითხა შრომის სამინისტროს სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების მოსამსახურეებმა უნდა მიიღონ თუ არა ზედმეტ სამუშაოსათვის ჯილდო და ან ვალდებული არიან თუ არა, რომ იმორიგეონო. შრომის სამინისტრომ უპასუხა ხსენებულ დაწესებულებათა მოსამსახურეების სამუშაო დღე განსაზღვრული არაა და მორიგეობა კი უნდა გასწიონ თუ ამას საქმის ინტერესები მოითხოვსო.

— **საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა.** საზღვარ გარეთიდან დაბრუნებული საქართველოს დელეგაციის წევრი და წევრი დამფუძნებელი კრებისა ი. პ. გობეჩია ოქტომბრის 8 გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში. მისი მიზანია სახალხო ლექციის კითხვა დელეგაციის მუშაობის და საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

— **გეოგრაფიის სახელმძღვანელო.** ქალთა გიმნაზიის მასწავლებელმა ლ. სლავინსკიმ განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტს წარუდგინა განსახილველად თავის მიერ შედგენილი დასავლეთ საქართველოს გეოგრაფია ქართულ ენაზე.

— **სახალხო ჯანმრთელობის დეპარტამენტი.** სახალხო ჯანმრთელობის დეპარტამენტმა დაამუშავა ბიულეტენი ვადამდებ სენთა მსვლელობის შესახებ სექტემბრის 22-დან სექტემბრის 30 მდე აღნიშნულ დროს განმავლობაში შენიშნულია შემდეგი ავადმყოფობანი: სექტემბრის 29-მდე ბათომში შავი ჭირით ავად იყო 27 კაცი, კვირის განმავლობაში გახდა ავად 11, მოკვდა 5, მორჩა 11, სექტემბრის 30 საავადმყოფოში იწვა 23 ავადმყოფი, ტფილისში სექტემბრის 22-მდე ხოლერით ავათ იყო 10 კაცი, ერთი კვირის განმავლობაში გახდა ავათ 6, მოკვდა 1, მორჩა 10, დარჩა საავადმყოფოში 5.

## ყირიმი.

(,,საქართველოს'' კორესპონდენტისაგან).

ყირიმის პოლიტიკური მდგომარეობა უფრო უზრუნველ ყოფილა, ვიდრე ეკონომიური. ეს აიხსნება ამ გარემოებით, რომ ანტანტა და განსაკუთრებით კი საფრანგეთი ერთად—ერთ სასურველად შესაძლებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად რუსეთში ვრანგელის მთავრობას სთვლის.

ეკონომიური ცხოვრება კი კატასტროფის წინაშე სდგას. ფულის კურსი სავსებით დაცემულია. ქართული ათასი მანეთიანი რომ სფულით ოცდათოთხმეტათასი მანეთიად ღირს, გირვანქა შაქარი თორმეტ—ათასი მანეთად ფასობს. გირვანქა პური ორასი მანეთი. სახელმწიფო მოსამსახურეებს ჯამაგირები გადიდებული აქვთ, მაგრამ მაინც ხრონიკულ შიმშილს განიცდიან. მოსავალს არა უშავს; საშუალოზე მეტია წრეულს, მაგრამ ვაჭრობა—მრეწველობის სამინისტროს განკარგულებით სამეურნეო ნაწარმოების ბაზარში გატანა შეუძლიათ მხოლოდ მთავრობის კონტრაგენტებს. ეს გარემოება გლეხებში სიზარმაცესა და უკმაყოფილებას იწვევს. არშინ ნარმაზე სცვლიან ხუთ ფუთ ქერს. ამ ნიადაგზე განუსაზღვრელ სპეკულიაციას ეწევიან თვითონ მთავრობის მიერ რწმუნებული კაცები.

ხალხს რომ კითხოთ რომელი გირჩევნიათ ვრანგელი თუ ბოლშევიკებიო: ორივე წყალს წაუღიაო, გიპასუხებენ, ყირიმის დემოკრატია დარწმუნდა რამოდენიმე წლის გამოცდილებით, რომ მას შრომისა და სიმდიდრეს არც ლენინის რესპუბლიკაში აქვს პატივისცემა და არც ვრანგელის სამეფოში.

**ხანელი.**

# ჩვენი კორესპონდენტები

## ქუთაისი.

ქუთაისი, ეს იმერეთის ძველი სატახტო ქალაქი, დღეს განახლებულ საქართველოს ერთ ერთი მივიწყებული, გარეგნულად მინელებული ქალაქია. არ სწყალობდა ქუთაისს ძველი მთავრობა, რადგან იგი უაღრესად ქართული იყო, არ სწყალობს მას არც დამოუკიდებელი საქართველოს, რუსეთის სოც.-დემ. პარტიის წიაღიდან წარმოშობილი, მთავრობა. მივიწყებულია ქუთაისი, აღარავის ახსოვს, მას მხოლოდ, როგორც რევოლიუციონურ ქალაქს, მაშინ მოიგონებენ, როდესაც უცხოელი ამხანაგები ეწვევიან ჩვენს სოციალისტებს. მაშინ მიჩუმებულ ქუთაისში, აღმაშენებლობა დაიწყება, ქუჩაზედ გამოვლენ საუცხოვო ინჟინრები და ტეხნიკები, და მათი ხელმძღვანელობით საუცხოვო ბოძები და ტრიბუნები კეთდება. ამაზედ იხარჯება ქალაქის გამგეობის სალაროს მილიონები. ასე იყო ძველადაც როცა ქუთაისს, ძველი რუსის მეფის საგვარეულოს წარმომადგენელი ეწვეოდა. სხვა დროს აღმშენებლობა ქუთაისში მივიწყებულია, მთელ ქალაქში ერთი სახლიც აღარ შენდება, ალბად იმიტომ რომ მეპატრონეს ეშინიან ვაი თუ დამთავრება არ აცალოს ქალაქის გამგეობამ და მანამ ჩამოართვას. ძველი ინგრევა და ნადგურდება, ახალი აღარ შენდება და ამან შექმნა ქუთაისში, როგორც მთელ საქართველოში, საშინელი ბინის კრიზისი. არა უშავს, ვინც ,,დემოკრატია'' იმას ბინაც აქვს...

ქალაქის გამგეობის ,,აღმშენებლობითი'' მუშაობა სავაჭროების წინა სახურავების ,,დანგრევით'' ამოიწურება, ესეც კარგი საქმეა, დანაპირები შეუსრულეს, ქუთაისს გაუთენეს.

მათი ,,სამეურნეო'' მუშაობა ქუჩებზედ ამოსულ ბალახების გადათხრით ამოიწურება, ესეც მიზან შეწონილია, საშიში იყო მათ მიერ დამშეულ მოქალაქეთ ქუჩაზედ ამოსული ბალახთა შორის მავნე ბალახი არ ეჭამათ.

მათ ,,საამშენებლო'' და ,,სამეურნეო'' მუშაობას ისიც ემატება, რომ ,,ბურჟუებს'' ხშირად ართმევენ ხალხისათვის საჭირო საუცხოვო ბინებს და აბანოებს. ზოგი მათგანი ს.-დემ. კოლექტივებსა სჭირდებათ.

ქალაქის გამგეობამ იმდენი იზრუნა მოქალაქეთათვის, რომ დამშეულ მოქალაქეთ მთელი წლის განმავლობაში, ათ ათი გირვანქა სიმინდი დაურიგა იაფ ფასებში და თავისი ნიხრებით, ისეთი მდგომარეობა შექმნა რომ ქუთაისის მაზრიდან სურსათი ბათუმისაკენ და თბილისისაკენ მიაქვთ, და ქალ. ქუთაისში კი არა.

ამიტომ არის, რომ ბაღებ შუა მდებარე ქუთაისში პომიდორი გირვანქა 28—30 მან. ფასობს, თბილისში კი 15 მანეთად,—საჭიროა ითქვას, რომ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ვერ განაგო ქუთაისი, რომ, მათ ვერ შექმნეს ისეთი პირობები, რომ ქუთაისის ღარიბ მოქალაქეთ შეძლოთ მჭადისა და ლობიოს ჭამა მაინც. მათ გააქრეს სურსათი ქუთაისის ბაზრიდან, და მოქალაქენი მშივრები დაჰყარეს. არაუშავსრა ,,დემოკრატებს'' სურსათიც ბლომად აქვთ. ვინც ,,დემოკრატი'' არაა ის კონტრ რევოლიუციონერია, დეე დაიხოცნონ!

ქალაქის გამგეობა თავს იმით იმართლებს, რომ მთელ რესპუბლიკაში ასეთივე მდგომარეობაა, მთელი რესპუბლიკის მმართველნი კი იმით, რომ მთელ ევროპა აზიაშიაც ასეა!!

ასეთია სოციალისტების თავის მართლება, მანამ უფლება მოსილ ,,დემოკრატებსაც'' არ მოშივდებათ. მანამ მილიონებს დახარჯვენ სოციალისტების შესახვედრ სადღესასწაულო დღის მოსაწყობად და ამ სადღესასწაულო ტრიბუნიდან ლამაზი სიტყვებით ეტყვიან მშიერ ხალხს რომ მხოლოდ საქართველოს სოციალისტურმა მთავრობამ დაამყარა წესრიგი, მთელ ქვეყანაზედ კი ისევ არეულობაა. ,,გამძღარი კუჭი'' იოლად ინელებს ამ ლამაზ სიტყვებს, ,,მშიერი კუჭს'' კი ძლიერ უჭირს.

ქუთაისის მოქალაქენი ახლა მიხვდნენ, რომ ცხოვრების სრულად არ მცოდნე სოციალისტები მათ ცხოვრებას ვერ მოაწყობენ, მაგრამ გვიანღაა თითზედ კბენაი. ეს მათ მაშინ უნდა სცოდნოდათ, როცა თავიანთ საქმეებს ამ ვაჟბატონებს ანდობდნენ.

ამ ბოლო დროს სოციალისტების მიერ მოტყუილებული ხალხი ირკვევა, და თავისი საკუთარი საქმეების მოწყობას თავათვე კისრულობს.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბურუსიდან პირველად ხელოსნობა ერკვევა. მათ უკვე დააარსეს ხელოსანთა კავშირი საკუთარი წესდებით.

ეს კავშირი ჯერ შეერთებულია ვაჭარ მრეწველთა კავშირთან.

ეს მისაბაძი მაგალითია. ამის, უნდა მიბაძონ სხვებმაც, განსაკუთრებით კი კერძო მესაკუთრეებმა. მათ უნდა დააარსონ მესაკუთრეთა კავშირი რომ უფრო კოლექტიურ სიძლიერით შეხვდნენ ქალაქის საბჭოს რეკვიზიციებსა და ქონების ჩამორთმევის სურვილებს.

თუ დროზედ არ იქმნა საჭირო ზომები მიღებული, სხვა უბედურობასთან ერთად ქუთაისის ძველი სახლები ინგრევიან და ნადგურდებიან და ახალი მხოლოდ სადღესასწაულო სვეტები და ტრიბუნები შენდებიან. ბოლოს ალბად თვით ,,სარეკვიზიციო ბიურო'' ქალაქის თვითმართველობაც გამგეობასათვის, ,,სარეკვიზიციო'' სახლსაც ვეღარ იპოვნის.

სარედაქციო კოლეგია.

მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

უფროსი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო შეთალი-ექიმი

**ი. გ. ქუთათელაძე**

ილებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის ხასულე—მილის ავათმყოფობას ვ ქიმობ „ნე მანის და ვესსელის" მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე" (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2. თვ. 43

## სამკურნალო

ელექტრონის რენტგენის და სინათლის

**მიხეილ გედევანიშვილისა**

დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. 3102. თვ.

## მატარებლის მიმოსვლა.

### თბილისიდან მიდის.

| | | |
|---|---|---|
| ბორჯომამდის | № 17 | 7. 52 |
| ბორჯომში ჩადის | | 2. 09 |
| ფოთამდის | № 3 | 9. 56 |
| ფოთში ჩადის | | 10. 20 |
| ბორჯომამდის | № 19 | 2. 30 |
| ბორჯომში ჩადის | | 8. 00 |
| ბათომამდის | № 17 | 8. 00 |
| ბათომში ჩადის | | 9. 00 |
| ბათომამდის ჩქარი | № 5 | 11. 44 |
| ათომში ჩადის | | 11. 27 |
| თელავამდის | | 8. 30 |
| ქუთაისამდის | № 9 | 9. 50 |
| ქუთაისში ჩადის | | 6. 00 |
| სანაინამდის | | 1. 40 |
| სალ-ოღლამდის | | 10. 10 |

### თბილისში მოდის.

| | | |
|---|---|---|
| ბორჯომიდან | № 20 | 12. 30 |
| თბილისში მოდის | | 6. 30 |
| ქუთაისიდან | № 12 | 11. 47 |
| თბილისში მოდის | | 9. 30 |
| თათომიდან ჩქარი | № 6 | 11. 00 |
| თბილისში მოდის | | 12. 12 |
| ბათომიდან | № 8 | 3. 50 |
| თბილისში მოდის | | 7. 44 |
| ფოთიდან | № 4 | 8. 25 |
| თბილისში მოდის | | 7. 47 |
| თელავიდან | | 7. 00 |
| სანაინიდან | | 11. 30 |
| სალ-ოღლიდან | | 4. 25 |

## სასწავლებელში.

მონობამ ჩაშალა ქართველთა სახე თავისებური. პოსპო მათი პოლიტიკური თვითარსებობის აღნაგობა, დამყარებული საკუთარ ისტორიულ ცხოვრებაზედ, ქვეყნის შემადგენელ ნაწილების ნაირნაირ აგებულობაზედ, განსხვავებულ იმათ ყოფაზედ.

მტერი შეეხო ქართველობის სულიერ ბუნებასაც: შეუდრკომელის თანისთანობით ხელჰყო მის გონებრივ დ ზნეობრ. სა განძურთ სპობას, მისგან შექმნილ კულტურის საფუძველთ ნგრევას, მის პიროვნობის ძირიანად გარდაქმნა-რყევას.

უმთავრეს იარაღად ამ მისწრაფების ასასრულებლად მან დაისახა ქართველთა სკოლა, ხოლო საგნად მოქმედებისა ქართველ მოზარდ თაობის ამ საშუალებით გადაგვარება. მოსპო სასწავლებელში სალაპარაკოდ თუ მეცნიერების დარგთა შესაძენად ქართული ენა, შეცვალა იგი უცხო ნიადაგზედ აღმოცენებულ თვისის საუბრით. ერთის დაკვრით ენა მოჰკვეთა პატარა ქართველს; მიუწდომელიც გახადა მისთვის ის ფასდაუდები კულტურული შინაარსი, რომლის სალარო არის ერის საუბარი: მასში ხომ მარცვალ-მარცვალ არის შეგროვილი მრავალგვარი სულიერი განცდა ხალხისა, სავსებით დაცული მისი ნააზრ—ნაფიქრი, ნაგრძნობი ყოველივე, ნასურვ—ნანატრი. მტერმა ჩაუყენა პატარა ქართველს თავის ენასთან ერთად სულიერი განძი უცხო, ქართველისთვის შეუგნებელ—გაუგებარი, მთლადაც შეუფერებელი. გადაეჩვია ახალგაზრდა ქართულად თქმას, საკუთარ მეჯლისობას ქართულ სურათთა ასახვას, თვის ხალხის მრავალგვარ ნაშრომთა შეთვისებას, თუნდაც შეგნებას.

მკაცრი იყო მტრისაგან ჩვენ ნიადაგზედ ჩანერგილი სასწავლებელი მთლადაც უწყალო: სრულიად განდევნა მან თავის არედან ქართული იერის მექონი ყოველივე შინაარსი; თითონვე შეიხმარა მოზარდ თაობის მთელი დროც. ქართველ ყმაწვილს ეგზომ უნდა შეეთვისებინა რუსული ენა, რომ შესძლებოდა ისევე ესწავლა, როგორც სწავლობდა რუსის ახალგაზრდობა და სწორედ იმ გეგმზედ, რა გეგმაც მეფობდა რუსთა სკოლაში. ერთობ ძნელი იყო ეს, ბევრი მეტს დროსა თხოულობდა, მთელს უნარს შრომისას. სწავლის უღელში შებმულს მოზარდს ტოლი ედვა, რომ კვალში იყო ჩაგდებული ბოროტ გუთნისდედისაგან; მასი მეტოლე რუსის ბალღი კი უფრო ადვილად ეწეოდა მისთვის შემ სუბუქებულ ტვირთს, უფრო გაკაფულზედაც მიდიოდა, დასძინე ისიც, რა ზიზღით დაჰყურებდა ჩვენს მტერი ამ ზრდილი, როგორც აკნინებდა მას, შეურაცჰყოფდა..... გათავხედებული მოლაღე, ეს დამდაბლებავი ძაღლის ენას უწოდდა ტკბილ ქართულს...... ქართველ ახალგაზრდობას სრულებით აღარ ჰქონდა დრო, ბევრჯერ ხალისიც, თავისით მაინც შეჰბრძოლებოდა ამ ძირიდად უკუღმართობას: კერძო შრომით შეეძინა სამშობლო ენის ცოდნა, ეთვისებინა ეროვნული ნაღვაწი თუნდ ნამუსრავი ესე იყო კლასში, გაკვეთილებზედ.

მაგრამ სკოლას ვერ ასაზრდოებენ მხოლოდ გაკვეთილები. ნაკვეთნაკვეთად მიწოდებული მეცნიერებათა ნახორხმალი დიდს ნაყოფს ვერ გამოიღებს. თუ გაკვეთილებით გაჭრილს კვალს უწყვეტლივ არ მისდევს თანისთანობით შერჩეულ საკითხავ წიგნთა სიმრავლე, რომელიც აფართოვებს საკლასო მუშაობის დროს გავლებულ წრეს, ბელტბელტად გამოაქვს მანვითარებელი შინაარსი, რომ პარტახი რამ ნიადაგი გარდაქმნას ნაყოფის უხვად მომტან ღალთან ხნულად. გაკვეთილებს ფეხდაფეხ უნდა მოსდევდეს საკითხ წიგნების უამრავი სიმრავლე დასდასად მწობრად.

და მრავლისაგან მრავალი წიგნთა ზვირთები მოისწრაფოდნენ ჩრდილოეთიდგან, უცხო ენაზედ მოდუღდუნე ეტრტათ ტალღები, სხვათა ცხოვრების ამწერელნი. უცხო იდეალების მაძიებელნი, ჩვენთვის უცნობ და შეუფერებელ განცდათა ასახველი თხზულებანი, საკუთრად რუსულნი თუ სხვა ენებიდან რუსულადვე ნათარგმ—ნაკვთნი. ყველა ეს განმანათლებელი ნამოქმედარი ძვირფასი იყო იქ, თავის ნიადაგზედ: იგი შეწყობილი იყო იმ ხალხთა სულიერ ბუნებასთან, განავითარებდა მათ გონების თუ ზნეობრივ არსებას; მათ ნიადაგზედ აღმოცენებული, იგი ამოხიერებდა და აყვავებდა მათვე არსებობას. აქ კი, ჩვენს ქვეყანაში, ეს განძი ემსახურებოდა ჩვენის სულიერი არსების გადაგვარებას: ჩვენს მჭიგნობარ თაობას ის აცილებდა თავის საკუთარ ნიადაგს და ფერხთ ქვეშ უგდებდა მისთვის უფერ და უცხო რამ მიწას; იგი ტკბილად მათრობელი მასალა მთლად უმწეოდა ჰქმნიდა მას თავის ქვეყნის ჭირ-ვარამისათვის, გამოუსადეგრად; იგი მასალა ანვითარებდა მასში სულს მეცნიერს და აკნინებდა სულს შემოქმედს, რადგან ამ ნიჭისათვის საჭირო არის საკუთარ ნიადაგზედ დგომა, თავისებურ არსებობის შეგნება, სხვათა ნაწარმოების საკუთარ ხეხილზე მყნობა.

საკვირველი იყო ჩვენი განათლებული: მშვენივრად იცოდა შორეულთ ისტორია, ვერც კი დამისახელებდა ჩვენი ხალხისათვის თავდადებულებს; ძვირფასად შეეთვისებინა ცხრა მთას იქით მდებარე ქვეყნის აღნაგობა, ვერც კი აგიწერდა ვერც ერთს კუთხეს თავის პატარა სამშობლოსი; დაწვრილებით მოგითხრობდა უჩინმაჩინელთა მისწრაფებებს თუ საოცარო ყოფა-ცხოვრებას, არ კი იცნობდა თავის ერის სულისკვეთებას; შეეძლო სხვათა ენაზედ შემოქმედებაც უმწეო იყო თავის კერაზედ: გაკვეთილებიც, წიგნებიც შეუფერებელის დღენებით აცილებდნენ მას ქართულ ნიადაგს და... დამშლაგდებოდა იგი ჩვენთვის, უხმარ ხდებოდა არარაობის ამსახველად დაეუფლებოდა. ყოველ წელს გუნდგუნდად მოდიოდა უცხოეთიდან განათლებული ახალგაზრდობა, გულწრფელად მსურველი რაიმე ნათელი კვალი გაევლო თავის ხალხის ჩაბნელებულ ყოფაში; ცხოვრების სარბიელზედ კი ათასში ერთი გამოჩნდებოდა მათთაგანი, ისიც უძლური, თითქმის უვარგი. ეტყობოდა გონიერს განვითარებაც, მაგრამ ფუჭი იყო ჩვენთვის იგი ნიჭი მომადლებული.

და გადმოჰქონდათ სამშობლო ნიადაგზედ უცხო ენა, სხვათა ზნე ჩვეულება, გარეშეთა განცდანი, მტერთა მისწრაფებანი. იმათ მაგალითს მისდევდა ბევრი სხვა. მოშლილდა სული ქართული. ვინ იცის, რა მოუვიდოდა ჩვენს ენას და სულიერ განძს, თუ თითონ ხალხს არ შეენახა ის, ან ძველ მოღვაწეთა ნაშრომში არ ყოფილიყო იგი ნაპრის თვალივით დახშულ-დაცული.

სევდით უყურებდნენ ჩვენი იშვიათი ჭირისუფალნი ქართველთ მომავალს, შავი ეჭვი ეფარებოდა მათ იმედთ ვარსკვლავს.

მოხდა ისტორიული სასწაული: დაირღვა უსამზღვრო რუსეთი; სხვათა დანმთქმელმა ჩანთქა თითონვე თავისნი შვილნი. გადავიურჩენდა! ჩვენი თავი აწ ჩვენვე გვახლავს. მაგრამ.......

მონობას დაუბზარია სული ქართველთა თავისუფალი: გვეშინიან იქ, სადაც არ არის არაფრის შიში; არა გვჯერა, რომ თავს მეღარ გვადგა მაწრობელი; დღესაც ვერ ვბედავთ უკუვაგდოთ მისგან ნაბრძანები გეგმა სასკოლო მოქმედებისა, უარვყოთ ჩვენი მათახსირებელი სახე აღზრდისა. მაშ რისგან არის ეს, თუ არ აჩრდილის წინაშე შიშის გამო, რომ უფლება გვაქვს ჩვენი სკოლა დღესვე მთლად გავაქართულოდ, ჩვენებურადვე ავამეტყველოთ ჩვენი მოზარდნი, შევათვისოთ მათ მეცნიერებათა დარგნი მშობლიურ ენაზედ, დავატკბოთ მათი ჰაერი თუ ყურთა სმენა ლამაზ ქართულით, ჩვენ კი ვერ ვბედავთ ამ ნაბიჯის გადადგმას, გვითრთის მუხლი საქ დავედ?!

ჰა, ჰა, ჰა,! ოთხიოდე წლით კიდევ გადავსდვეთ ნანინანატრი ღვსების წამი, შევაგვიანოთ ჩვენს სიკეთის სანატრი წუთი ჩვენისვე ნებით......

საკანში დიდს ხანს დატყვევებულს, ამბობენ, უმძიმს ბნელი სამყოფის თავდანებება. მაშ რა არის ეს, თუ არ ბნელი საკანის საკვირველი რამ შეთვისება, როცა ვიცით, უნაყოფიერესი იქმნება მოსწავლეთათვის მეცნიერების დარგთა შეთვისება მშობლიურ ენაზედ, ნებაც გვაქვს ამისი, და მაინც ვყოვნით?! დაჯვისკვნია, გადაგვარების გზაზედ ვადინოთ ჩვენი ბალღები კიდევ მრავალ ხანს!..... ჩაღეწილი უნდა ჰქონდეს ადამიანს ნების ყოფა თუ უნარი მოქმედებისა, რომ შეეგნოს სიკეთე ახალი გზისა, იწვევდნენ კიდეც მას ამ სარალ ზედ, და იგი მაინც ძველს განაგრძობდეს, დამღუპველ შარაზედ მიჰყავნდეს ახალგაზრდობა. იტყვის სიბრძნე: უმჯობესია ლოდი მოიბა და ზღვაში ჩაეშვა, სინამ აცთუნო თუნდ ერთი მცირედთაგანი. ქართულის უკუგდება ქართველთ სკოლაში ცთუნებაა მრავალთა, შეცთომა მიუტევებელი. რაღას ვინ ილის?! თქვას ქართული, როგორც ეხერხება: ჩვენ სკოლაში რყეული ქართული მაინც უფრო ბუნებრივი იქნება და ხავაიანი, მინამ რუსული თუნდ სხარტად თქმული. გაბედე! ენას ამოიდგამ და შენვე გაგეღიმება შენს უნიადაგო შიშზედ, შენს საკუთარ უაზრო დარცხვენაზედ.

მსწრაფლ გადაჯგუფდეს ახალგაზრდობა: ქართველთ მიეცეს სავალი ქართული, არა ქართველთ თავიანთ დედა ენაზედ. ვერვის შეავიწროებს თავისუფლების მოტრფიალე ქართველი, სხვებიც ნუ აშხობენ ჩვენის სულის სილაღეს!

ეს სკოლის გამო და გაკვეთილების შესახებ.

საკითხს წიგნთა შესახებ აუცილებელი ის არის, რომ უსათუოდ უნდა შევძლოთ ახლო მომავალში, ძლიერ ახლო ხანში, შევართვეთ სკოლას და ხალხს საკითხი წიგნნი დედა ენაზედ. მომავალნი ქართულ წიგნსა გვთხოვენ დაჟინებით, ჩვენ ქვას მიუბყრობთ ან განხმელ ნაფოტს. როდემდის!? არც ისე უმწეონი ვართ ამ შემთხვევაში: ძველი მწერლობა მდიდარი გვაქვს, არ ჩამოუვარდება ის წიგნთა რაოდენობით თუ ვითარებით სხვა ხალხთ სიმდიდრეს, თუნდ განათლებულ ერთა განძეულობას. მხოლოდ გამოცემული არ არის იგი, დღესაც ხელნაწერ რვეულებში არის ჩახშული. უნდა გამოიცეს, გამოიფინოს! ხალი მწერლობა უფრო ღარიბია, მაგრამ არც ისე, რომ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდოს მისმა სიმწირემ: მრავალი საკითხი მასალა არის გაბნეული ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ბავშვებისთვის თუ გაზრდილთათვის გამოსადეგი სულიერი საკვები საგულისხმიერო. უსათუოდ უნდა შეიკრიბოს ის და მსწრაფლ დაისტამბოს! სხვა ხალხთა საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებნიც უნდა ქართულ ენაზედ მიუბყრათ წიგნთ მოტრფიალეს, აუცილებელია მათი თარგმნა და გამოცემა, ხალხური ნაწარმოებნი? თვითეულის მათგანის გამოტანა მუქა მარგალიტის ამოტანას უდრის ზღვის ფსკერიდან. ძნელია ეს ყოველივე, როგორც ძნელია ყოველი ბრძოლა, გარნა ისევე აუცილებელია, როგორც შემოსეულ მტრის გარეგანდევნა. საჭირონი არიან აქ უტეხი ნებისყოფის მოღვაწენი. პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზებზედ წარმოშვა ჩვენმა გაჭირვებამ ძვირფასი მოღვაწენი; კულტურულ არეშიც აღმოჩნდებიან შემმართებელნი. უსათუოდ უნდა აღმოჩნდნენ! როგორ შეიძლება ამ სარბიელზედ აღხოცილიყვნენ რაინდი მოღვაწენ?! ხომ დაიღუპა მაშინ ჩვენი ქვეყანა! ჩვენი პატარა სამშობლო უწინაც თავის განვითარებით პირველობდა, პატივს იმსახურებდა. ეხლაც უნდა მეთაურობდეს განათლებით მთელ წინააზიაში. აქ არის ჩვენი ხსნა. გვაცალეთ, დავწყნარდეთო? ვერ დავწყნარდებით: ერთობ ძვირფასი ქვეყანა გვიჭირავს და მისთვის გვეხვევა ყოველ მხრივ მტერი. ესე იყო უწინ, ამასვე ჰმოწმობს დღე დღევანდელი. ვიბრძოლოთ ორივე მხარეს! უწინ ქართველს ერთ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში ჯვარი, ხმალი ეხლაც მაგრად გვიპყრია მძლე მარჯვენით. ჯვარი გადავცვეთ საყდართ მეთაურს. წიგნი გვეჭიროს მეორე ხელში!

**ვახტ. ბარნოვი.**